

პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების სახელმწიფო
ზედამხედველობა და კონტროლის თავისებურებები

ნინო თაბუკაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი : კახაბერ გოშაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარმოდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო თაბუკაშვილი

1 ივლისი, 2019 წელი

რეზიუმე

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განხილულია პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების სახელმწიფო ზედამხედველობა და კონტროლის თავისებურებები საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით. ნაშრომი მოიცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს ზოგად კონცეფციას, იმ საფუძვლებს, რომლებმაც განაპირობა საზედამხედველო ორგანო დაარსება ევროპის და საქართველოს მასშტაბით.

წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში ყურადღება მახვილდება საქართველოში მოქმედ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს უფლებამოსილებებსა და მის ხელთ არსებულ სამართლებრივ ბერკეტებზე. ამასთან ერთად, განხილულია კონკრეტული ვალდებულებები, რომლებიც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ აკისრია. ნაშრომი მოიცავს ევროკავშირში მოქმედი საკანონმდებლო ნორმებისა და იმ ქვეყნებში დამკვიდრებული პრაქტიკის ანალიზს, რომლებიც გამოირჩევა მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტებით.

გაანალიზებულია საქართველოში საზედამხედველო ორგანოს დაარსების პერიოდიდან დღემდე განხორციელებული რეფორმები, მათი ეფექტიანობა და ის პრობლემური სფეროები, რომელთა გამოსწორებაც სკანონმდებლო ცვლილებებს და რეგულირებას მოითხოვს. გაანხილულია საქართველოში მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს როლი და ის გამოწვევები, რომლის წინაშეც დგას ეს უკანასკნელი. ანალიზის სიმყარისა და სანდოობისთვის მიმოხილულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ყველა წლის ყოველწლიური ანგარიშები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ყოველწლიური და სპეციალური ანგარიშები და რეკომენდაციები.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზების და ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს მიერ მიღებული ახალი რეგულაციით

(GDPR- General Data Protection Regulation) დადგენილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ახალის სტანდარტების ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტირების საჭიროების საფუძვლები.

ფართოდ არის განხილული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის“ უფლებამონაცვლის „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის“ , როგორც მონაცემთა დაცვასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები. გაანალიზებულია ახალი საკანონმდებლო რეგულაციებიდან გამომდინარე, მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელთა მხრიდან ჩადენილი შესაძლო დანაშაულების გამოძების ფუნქციის მინიჭების საფუძვლები და ის მოსალოდნელი შედეგები და საფრთხეები , რაც შესაძლოა მოჰყვეს ამ ორგანოს ამოქმედებას.

ზემოთჩამოთვლილი საკითხები წარმოადგენს წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განხილულ ძირითად თემებს, რომელთა ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში არსებული და მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს წინაშე მდგარი გამოწვევები.

Abstract

The present Master's Manual examines the state oversight and processing of personal data protection and control over the current legislation and international obligations in Georgia. The paper covers a general conception of the Supervisory Body of Personal Data Protection, the bases that have led to the establishment of supervisory body in Europe and throughout Georgia.

In the presented master's work, attention will be paid to the powers of the supervisory body of data protection in Georgia and the legal leverages available at its disposal. At the same time, the specific obligations discussed by the State Inspector Service to the physical and legal persons. The paper covers the legislative norms established in the EU and practices in the countries that are distinguished by high standards of data protection.

The reforms, their efficiency and the problematic areas that have been implemented since the establishment of the supervisory body in Georgia have been analyzed in this regard, which require legislative amendments and regulation. The role of supervisory body of data protection in Georgia and the challenges faced by the latter are visible. Annual annual reports of personal data protection inspectors, as well as annual and special reports and recommendations presented by international organizations and non-governmental organizations operating in Georgia are reviewed for the determination and credibility of the analysis. This paper presents the basis for the hormones of the legislative base within the Association Agreement with the European Union and the new legislation adopted by the European Parliament and the Council of Europe (GDPR-General Data Protection Regulation).

The legal aspects of the body responsible for the data protection and processing of the State Inspector Service of the Assignment of Personal Data Protection Inspector's Office is widely considered. Based on the new legislative regulations, the basis for granting the funding of possible offenses committed by the law enforcement agencies of the supervisory body of data protection and the expected consequences and dangers that may result in the enactment of this body. The above topics are the main topics discussed in the present Master's paper, which can be based on the analysis of the existing challenges faced by the Data Protection Supervisory Authority in the field of Personal Data Protection.